ააიპ ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახ. კონსერვატორიის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის 2024 წლის ანგარიში

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია დღესდღეობით ერასმუს+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის KA 171 პროექტის ფარგლებში თანამშრომლობს ევროკავშირის წევრი **16 ქვეყნის 30 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.** აღნიშნული პროექტის ფარგლებში ევროკომისიის მიერ სრულიად ფინანსდება როგორც სტუდენტური (თითოეულ საფეხურზე - ბაკალავრი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა - მაქსიმუმ 12 თვის ხანგრძლივობით), ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული (თითო ვიზიტზე 5 სამუშაო დღის ხანგრძლივობით) მობილობები *პროგრამის ქვეყნების* (ევროკავშირი) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და *პარტნიორი ქვეყნის* (საქართველო) სასწავლებლებს შორის გაფორმებული ინსტიტუციათშორისი ხელშეკრულებების საფუძველზე.

2024 წლის ივნისიდან დღემდე ერასმუს+ KA 171 პროექტის ქვეშ ხელშეკრულება გაფორმდა - ზაგრების უნივერსიტეტთან (ხორვატია); ხელშეკრულებები განახლდა - კოსენცას სახელმწიფო სამუსიკო სასწავლებელთან (იტალია), ბერგენის უნივერსიტეტთან (ნორვეგია), ტარტუს უნივერსიტეტთან (ესტონეთი), ი. ვიტოლსის სახელობის ლატვიის მუსიკის აკადემიასთან (ლატვია), მიუნჰენის მუსიკისა და თეატრის აკადემიასთან (გერმანია).

Erasmus + მობილობა - OUTGOING

2024 წლის გაზაფხულისა და შემოდგომის სემესტრის განმავლობაში Erasmus+ პროგრამის (KA171), საერთაშორისო კრედიტ მობილობის ICM) ფარგლებში საერთო ჯამში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის 30-მდე სტუდენტმა და 20-მდე აკადემიურმა თუ ადმინისტრაციულმა პერსონალმა მიიღო დაფინანსება შემდეგ სასწავლებლებში სასწავლო თუ სამუშაო ვიზიტების განსახორციელებლად:

- *იაზეპს ვიტოლსის სახ.ლატვიის მუსიკის აკადემია (ლატვია)*
- *კოზენცას კონსერვატორია (იტალია)*
- *მილანის კონსერვატორია (იტალია)*
- *კრაკოვის მუსიკის აკადემია (პოლონეთი)*
- *ტრიესტეს კონსერვატორია (იტალია)*
- *სიბელიუსის აკადემია (ფინეთი)*
- *ჯუზეპპე ვერდის სახელობის მილანის კონსერვატორია (იტალია)*
- *დანიის სამეფო აკადემია, ესტონეთის მუსიკის აკადემია ტალინში (ესტონეთი)*
- *მუსიკის სამეფო აკადემია ორჰუსი, ნორვეგიის მუსიკის აკადემია*
- *პარმის კონსერვატორია (იტალია)*
- *გრიგის აკადემია, ბერგენის უნივერსიტეტი (ნორვეგია)*

Erasmus + მობილობა - INCOMING

ამავე პერიოდში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ვუმასპინძლეთ 15 აკადემიურ პერსონალს და 4 საერთაშორისო სტუდენტს შემდეგი პარტნიორი სასწავლებლებიდან ევროკავშირის მასშტაბით:

- *კრაკოვის მუსიკის აკადემია (პოლონეთი)*
- *კაროლ ლიპინსკის მუსიკის აკადემია ვროცლავში (პოლონეთი)*
- *ჯუზეპპე ვერდის სახელობის კონსერვატორია (იტალია)*
- *იაზეპს ვიტოლსის სახ.ლატვიის მუსიკის აკადემია (ლატვია)*
- *ვროცლავის მუსიკის აკადემია (პოლონეთი)*
- *რომის სენტ-ლუისის მუსიკის კოლეჯი (იტალია)*
- *მესინას კონსერვატორია (იტალია)*
- *სიენას ჯაზის ეროვნული აკადემია (იტალია)*
- *მუსიკისა და თეატრის უნივერსიტეტი მიუნჰენში (გერმანია)*

პროექტის ფარგლებში მოწვეული პერსონალისთვის იგეგმება სამუშაო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც დაინტერესებული სტუდენტებისათვის იმართება მასტერკლასები.

- ერასმუს+ პროექტის მიღმა კონსერვატორიის კურსდამთავრებულის, ანა სალარიძის მედიატორობითა და დახმარებით ოქტომბერში ვუმასპინძლეთ პოლ უინგფილს ბირმინგემის სამეფო კონსერვატორიის (დიდი ბრიტანეთი) ვოკალური/საოპერო დეპარტამენტიდან. უინგფილდის მონაწილეობით გაიმართა მასტერკლასები და საინფორმაციო შეხვედრები თსკ-ს ბაკალავრის დამამათავრებელი კურსის სტუდენტებისათვის, ვინც აღნიშნულ სასწავლებელში სწავლის უფრო მაღალ საფეხურზე გაგრძელებას განიხილავს.

აღნიშნული მობილობების მიღმა ევროკომისიისა და მასპინძელი ქვეყნების ერასმუს+ ეროვნული სააგენტოებისა თუ საელჩოების დაფინანსებით დაგეგმილია:

- ერთობლივი პროექტი ჯაზის მიმართულებით რომის სენტ ლუისის კოლეჯთან (იტალია) თანამშრომლობით 2025 წლის იანვარში ჩატარდება ნაწილობრივ სენტ ლუისის აკადემიაში, ფინალური კონცერტი კი გაიმართება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, 20 იავნარს - (ჩვენი მხრიდან პროექტში ჩაერთვებიან ჯაზის დეპარტამენტიდან 2 პედაგოგი და 3 სტუდენტი).

- ერთობლივი საორკესტრო პროექტი სიბელიუსის აკადემიასთან (ფინეთი) თანამშრომლობით 17-22 მარტის (2025) პერიოდში, სიბელიუსის აკადემიაში ჩატარდება (ჩვენი მხრიდან პროექტში ჩაერთვებიან 1 პედაგოგი სიმებიანი საკრავების მიმართულებით და 5 სტუდენტი).

გარდა ამისა, 2024 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში ერასმუს+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის ფარგლებში გამოცხადდა სტუდენტებისა და ადმინისტრაციული თუ აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსი ქვემოთ ჩამოთვლილ უმაღლეს
სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით, მობილობები განხორციელდება 2025 აკადემიური წლის გაზაფხული/შემოდგომის სემესტრში (თარიღები დაზუსტებადია):

- *ნორვეგიის მუსიკის აკადემია (ნორვეგია)*
- *სტანისლავ ჯოჯამანტონიოს სახელობის კოსენცას კონსერვატორია (იტალია)*
- *ვენის მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უნივერსიტეტი (ავსტრია)*
- *სიენას ჯაზის კოლეჯი (იტალია)*
- *ბერგენის უნივერსიტეტი (გრიგის აკადემიის მუსიკის განყოფილება) (ნორვეგია)*
- *ლუნდის უნივერსიტეტი (მალმოს მუსიკის აკადემია) (შვედეთი)*
- *მესინას სამუსიკო კოლეჯი (იტალია)*
- *კოტ დ'აზურის უნივერისტეტი (საფრანგეთი)*
- *არიჯო ბოიტოს სახელობის პარმის კონსერვატორია (იტალია)*
- *მუსიკისა და თეატრის უნივერსიტეტი მიუნჰენში (გერმანია)*
- *კარლშტადის უნივერსიტეტი (შვედეთი)*

2025 წლის თებერვლის პერიოდში მოგვეცემა შანსი ძველ და ახალ პარტნიორებთან თანამშრომლობით განვაახლოთ ხელშეკრულებები პარტნიორებთან თანამშრომლობით შედგენილი საკონკურსო აპლიკაციების საფუძველზე. შედეგები ცნობილი გახდება 2025 წლის გაზაფხულის სემესტრის ბოლოს, შესაბამისად განახლდება თსკ-ს საერთაშორისო პარტნიორების სიაც, რომლის შესახებაც ინფორმაციას დროთა განმავლობაში გავრცელდება.

ააიპ ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახ. კონსერვატორიის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი

დეა მარგველაშვილი